წმიდა იოვანე დამასკელი

შემდგომად ამისა დედოფალმა თეოდორამ განდევნილი მართლმადიდებლები, და მათ შორის წმინდა მეთოდიოსიც, გადასახლებიდან დააბრუნა. ცალკეული ზომების მიღება ხელახლა მომძლავრებულ ხატთმბრძოლთა წინააღმდეგ საკმარისი არ ჩანდა. საჭირო იყო კრების მოწვევა. რადგან ხატების თაყვანისცემასთან დაკავშირებით მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებანი უკვე არსებობდა და ამასთან მსოფლიო კრების მოწვევა ხანგრძლივ მზადებას მოითხოვდა, ამიტომ ადგილობრივი კრების ჩატარება გადაწყდა. კრება მართლაც იქნა მოწვეული 842 წელს. მისი აქტები მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებებს ეყრდნობოდა. ადგილობრივმა კრებამ ხატთმბრძოლობის ერესი დაგმო, ხატთა თაყვანისცემა აღადგინა და მართლმადიდებლობის ზეიმი გამოაცხადა, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული მართლმადიდებლურ ეკლესიაში ყოველ წელს, დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს იდღესასწაულება.

ბოლოს და ბოლოს, ღმრთის შემწეობით დასრულდა ეს დიდი ერესი, რომელიც ასი წლის განმავლობაში ტანჯავდა ეკლესიას და ხატებთან ერთად საერთოდ ხელოვნებას, მეცნიერებასა და განათლებასაც ებრძოდა. სამწუხაროდ, მან მრავალი მონასტერი და მრავალრიცხოვანი ხელნაწერი შეიწირა. მაგალითად, ცნობილია, რომ კოპრონიმმა, ყველა იმ წიგნის დაწვა ბრძანა, რომლებიც მინიატურებით იყო შემკობილი.

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა პატივისცემა წმინდანებისა, როგორც დანაშაული, იდევნებოდა, შეითხზა დიდი ნაწილი საგალობლებისა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა და უფლის სათნომყოფელ წმინდანთა სადიდებლად. ერთი ყველაზე შთაგონებული

ჰიმნოგრაფი, რომელსაც ეკლესია უდიდეს პატივს მიაგებს, წმინდა იოვანე დამასკელია.

ღვთივგანბრძნობილ საეკლესიო მოღვაწეთა შორის იგი განსაკუთრებით ბრწყინავს, როგორც მსოფლიო ეკლესიის დიდი მოძღვარი. მან მსგავსად მდინარისა ღმრთის ეკლესია მართლმადიდებელი შჯულის ნაკადულებით მორწყო, რისთვისაც ოქრონექტარი ეწოდა.[33]

იოვანე 675 წ. დაიბადა დამასკოში, არისტოკრატის ოჯახში. მამას დიდი თანამდებობა ეკავა დამასკოს ხალიფას კარზე. მიუხედავად ამისა, მას სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა, რადგანაც ღმრთისა და მისი მცნებების სიყვარულით ცხოვრობდა. იოვანემ ყრმობაშივე გამოამჟღავნა წყურვილი სწავლისა, რისთვისაც უფალმა იგი დააჯილდოვა და „უშიშად მავალჰყო უფსკრულსა ზედა სიბრძნისასა“. მასთან ერთად სწავლობდა კოზმა, სულიერი ძმა იოვანესი, რომელიც ამ ოჯახში იზრდებოდა. მათი საერთო მოძღვარი იყო ღრმად განათლებული კოზმა, რომელიც დამასკოში ტყვედ მოიყვანეს და მონობის სამარცხვინო ხვედრიდან იოვანეს მამამ იხსნა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დროს ბიზანტიის იმპერიას განაგებდა იმპერატორი კონსტანტინე კოპრონიმი, რომელმაც მხარი ხატთმბრძოლთა ერესს დაუჭირა და ეკლესიაში შფოთი შეიტანა. იოვანე დამასკელის სახელმა, რომელიც ხატების თაყვანისცემის აუცილებლობას მართლმადიდებლური რწმენის საფუძველზე ასაბუთებდა, მეფის ყურამდეც მიაღწია. ვერაგი იმპერატორი მიხვდა, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა იოვანეს ხატების დასაცავად შექმნილ სიტყვებს და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გასწორებოდა საშიშ მტერს. ერეტიკოსებისათვის დამახასიათებელი ვერაგობით მან მალე მოძებნა ხერხი იოვანეს გასაჩუმებლად. დაიბარა თავისი მწიგნობარნი, იოვანეს

ნაწერი აჩვენა და უბრძანა მიებაძათ მისი ხელწერისათვის. ბოლოს ერთ-ერთ მათგანს იოვანეს სახელით დააწერინა წერილი, რომელსაც თითქოს იგი მას, ბიზანტიის იმპერატორს, უგზავნიდა და დამასკოს დასაპყრობად იწვევდა. იმპერატორმა თავისი სახელითაც დაწერა წერილი, რომელშიც დამასკოს ხალიფას სიყვარულს ეფიცებოდა და მათ შორის კეთილგანწყობილებისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მოღალატე კარისკაცის წერილს უკან უგზავნიდა. ხალიფა ამ ფაქტმა დიდად აღაშფოთა, მან იოვანე დაიბარა და ორივე წერილი წააკითხა. მალემრწმენმა არც კი მოისმინა იოვანეს ვედრება, სულგრძელობა გამოეჩინა ჭეშმარიტების მოთმინებით გამოსაძიებლად და ბრძანა მისთვის ის მარჯვენა მოეჭრათ, რომლითაც მან თავის ქალაქსა და მბრძანებელს უღალატა. განაჩენი მაშინვე აღასრულეს და იოვანეს მოკვეთილი მარჯვენა ქალაქში გამოკიდეს. მაშინ წმიდა იოვანემ ხალიფას ვედრება შეუთვალა: ტკივილები დიდად მაწუხებს და არც შემიმსუბუქდება მანამ, სანამ ჩემს დაკიდულ მარჯვენას ქალაქში ქარი არხევს. ბრძანე მისი ჩამოხსნა და ჩემთვის მოცემა, რათა მიწაში დავფლა და ტკივილებისაგან მოვისვენო. სამაგიეროდ კი სიცოცხლის აღსასრულამდე შენი მადლიერი ვიქნებიო. ხალიფამ თხოვნის შესრულებაზე უარი არ უთხრა.

როდესაც თავისი მოკვეთილი მარჯვენა მიიღო, დიდი იოვანე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე დაემხო და გულიდან ამოსული მხურვალე ლოცვით შეევედრა ემხილებინა ხატთმბრძოლთა სივერაგე და მისთვის ხელი გაემრთელებინა. ამ ვედრებისას ჩაეძინა, ძილში წმიდა დედოფალი ეჩვენა, ხატზე გამოსახული და უთხრა: აჰა, განკურნებულ არს კელი შენი და დაცხრომილ ტკივილთაგან, ამიერიდან ისწრაფე მიცემად ღმრთისა ლოცვათა შენთა.[34] მყისვე გაეღვიძა და ნახა, რომ ხელი გამრთელებული ჰქონდა. გახარებული იოვანე გულწრფელად

მადლობდა ღმერთს. მან მთელი ღამე ღმრთის დიდებისმეტყველებასა და ქებაში გაატარა.

ხალიფას აცნობეს, რომ იოვანემ ქრთამი მისცა და მის ნაცვლად მარჯვენა სხვას მოკვეთეს, ხოლო თვითონ იგი სასჯელისაგან თავის დახსნით გახარებული შინ იშვებდა. ხალიფამ დაიბარა წმიდა იოვანე, თავისი თვალით ნახა გამრთელებულ ხელზე ნაიარევი და განცვიფრებულმა ჰკითხა, რომელმა მკურნალმა შეძლო შეუძლებელი, რაზეც პასუხად მიიღო: „ჩემმან ქრისტემან. ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან“. ხალიფამ ირწმუნა, რომ მისი კარისკაცი უბრალო იყო და წართმეული პატივი დაუბრუნა, მაგრამ იოვანე მუხლებში ჩაუვარდა და ცრემლებით სთხოვა გაეშვა, რაზეც ძლივს დაითანხმა. შინ დაბრუნებულმა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება გლახაკებს დაურიგა და თანშეზრდილ კოზმასთან ერთად იერუსალიმში წავიდა. წმინდა ქალაქში მან საბაწმიდის ლავრის მამასახლისს, იოვანეს, მიაკითხა და სთხოვა შეემოსა იგი მონაზვნობის სქემით. იოვანემ იცოდა მისი განთქმული სიბრძნისა და მეცნიერების ამბავი და ამიტომ მოისურვა მისი ჩაბარება სათნოებით სრული რომელიმე ბერისათვის, რათა მას უმტკივნეულოდ შეეყვანა იგი წესსა და მოქალაქობასა შინა მონაზონისა. თავდაპირველად მსურველი არავინ გამოჩნდა, რადგან ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს გვარიშვილობითა და სიბრძნით განთქმული კაცი მონაზონისათვის შესაფერისს მორჩილებას გამოიჩენდა. როცა მამასახლისს იმედი თითქმის გადაეწურა, მაშინ მოვიდა ერთი მოხუცი ბერი, ფრიად სულიერი და განაცხადა, რომ თავს იდებდა იოვანესათვის ზრუნვას. ბერმა თავის სენაკში წაიყვანა იოვანე და განუმარტა, რომ მონასტერში ცხოვრების პირველივე დღიდან სიბრძნითა და ცოდნით თავის მოტანა აღარ შეეფერებოდა, რადგან მონაზონის ღვაწლი არა თუ ნაკლები, არამედ მეტიცაა ყოველგვარ ცოდნაზე: ამას თანა ნუ ჰლაღოდ

შენ შორის მყოფისა მაგის სიბრძნისა და მეცნიერებისათვის. და სწავლულობათა მაგათ, რომელნი გასწავლიან, რამეთუ არარაჲთ უდარეს მათსა არს სასწავლოჲ მონაზონთაჲ. არამედ ფრიადცა რაჲ მე უმეტეს და უმაღლეს არს ფილოსოფოსობაჲ ამათი.[35] ამას გარდა, თავის ახალ სულიერ შვილს უბრძანა მისი რჩევის გარეშე არავისთვის წერილიც კი არ მიეწერა და არასოდეს გაეხსენებინა და არ წარმოეთქვა ის, რაც საერო წიგნებში ჰქონდა ამოკითხული. იოვანემ თავი მოუდრიკა და შეჰპირდა, რომ ბრძანებას დაიცავდა.

მცირე ხნის შემდეგ ბერმა მამა იოვანეს გამოცდა მოისურვა, აინტერესებდა სათნოების კიბის რომელ საფეხურზე იდგა მისი სულიერი შვილი. ამიტომ დაავალა მონასტერში დამზადებული კალათები დამასკოში წაეღო და გაეყიდა. ამასთან კალათებს მან ორმაგი ფასი დაადო, რათა იოვანეს მისი სწრაფად გაყიდვა ვერ მოეხერხებინა. დამასკოს საუკეთესო ოჯახის შვილს არ უთაკილია კალათებით ხელში ევლო მშობლიური ქალაქის ქუჩებში, მაგრამ გაზრდილი ფასის გამო ვერცერთი მათგანი ვერ გაყიდა. ბოლოს როცა სიარულით მოიქანცა, ერთმა მისმა მსახურყოფილმა იცნო, შეებრალა და არ გამოცნაურებია, ისე მისცა ფასი, რომელსაც ითხოვდა და კალათები წაიღო. ასე დაძლია ამპარტავნების ეშმაკი წმიდა იოვანემ და მონასტერში სათნოების გვირგვინით შემკული დაბრუნდა.

გამოხდა ხანი. საბა-წმიდის ლავრაში მცხოვრებ ერთ ბერს ძმა გარდაეცვალა და უნუგეშო გლოვამ შეიპყრო. მწუხარებას თავი ვერ დააღწია და წმიდა იოვანეს სთხოვა შეწყობილი სიტყვით რაიმე ნუგეშინისსაცემელი დაეწერა, რათა მისი კითხვისაგან შვება ეგრძნო. მამა იოვანემ თავდაპირველად უარი უთხრა, რადგან ეშინოდა მოძღვრისაგან მიღებული ბრძანების დარღვევისა, მაგრამ რადგანაც დამწუხრებული ბერი ფრიად ევედრებოდა, თანალმობამ აიძულა

დაეწერა საგალობელი მიცვალებულსა ზედა. ჭეშმარიტად ამაოა ყოველივე, წერს იგი ამ საგალობელში, საწუთრო მხოლოდ სიზმარი და აჩრდილია; როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, რაჟამს ყოველი სოფელი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკვიდროთ, ხოლო საფლავში ყველა ერთად ჩავა: მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი. როდესაც ტექსტი დაამთავრა და კილოს შეწყობა დაუპირა, მოულოდნელად, სენაკში მისი მოძღვარი შემოვიდა, ნახა, რა საქმიანობასაც ეწეოდა და განრისხებულმა განშორება უბრძანა. იოვანეს მხურვალე ვედრებამ იგი ვერ მოალბო და შეცოდება არ აპატია. მაშინ დაღონებული მამა იოვანე ლავრაში ყველასაგან პატივცემულ ბერებთან მივიდა, ცოდვა აღიარა და მოძღვრის წინაშე შუამდგომლობა ითხოვა. ბერმა შუამდგომელთაც უარი უთხრა, მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა: ნუთუ არა გაქვს რაიმე ეპიტიმია, სასჯელი, რომლითაც შემცოდეს განსწავლიდიო. ბერმა უპასუხა, როგორ არაო და მონასტერში ყველაზე მძიმე და დამამცირებელი სამუშაოს შესრულება დაასახელა. შუამდგომელ ბერებს უმძიმდათ დიდი იოვანესათვის იმ სასჯელის დასახელება, რომელიც მას ბერმა დააკისრა, მაგრამ ნახეს, რომ მამა იოვანე დიდი სიხარულით შეეგება ეპიტიმიას და სამუშაოს შესრულებას მაშინვე შეუდგა. ეს სურათი რომ იხილა, ბერი მიხვდა, რომ წმიდა იოვანეს მორჩილება არ აკლდა, გახარებულმა ორივე ხელი მოხვია, ეამბორა და უთხრა: კეთილად წარგიმართებიეს მორჩილება□ და კმა არს ეგე საცხოვრებელად.

დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეჩვენა ბერს და უთხრა, ნულარ დაახშობდა წყაროს და ოქრონექტარის ნაკადულებისთვის გადმოღვრის საშუალება მიეცა: ამიერიდან უბრძანე მას თქუმად, რაცა სთნდეს, რამეთუ ნუგეშინის-მცემელი და ყოვლადწმიდაჲ სული იტყჳს ენით მისით.[36]

ეკლესია იოვანესაგან დავალებულია აღდგომის საზეიმო მსახურებით, საუფლო და ღმრთისმშობლის მთავარი დღესასწაულებისადმი მიძღვნილი და წმინდანთა მოსახსენებლად შეთხზული კანონებით. მან შექმნა ოქტოიხოსი, რომელიც რვა ხმად დაყოფილ შვიდეულის მსახურებებს შეიცავს. წმინდა იოვანეს საგალობლებისა და ლოცვების დიდი ნაწილი ღმრთისმსახურებაში მისივე სიცოცხლეშივე შევიდა. გარდა საგალობლებისა, მას ეკუთვნის გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა, დიალექტიკა, წიგნი ერესებზე და ქრისტიანული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშები – სიტყვები ხატთა დასაცავად.

იმპერატორი კონსტანტინე კოპრონიმის დროს იოვანე დამასკელი, როგორც ხატთა დამცველი, კონსტანტინეპოლში ჩავიდა. ამბიონიდან იგი თვითონ კოპრონიმმა გადასცა ანათემაზე, მაგრამ ჭეშმარიტების მამაც დამცველზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია.

იოვანე დამასკელმა თავისი სამწერლო და მონაზვნური მოღვაწეობით ახალი ბრწყინვალება შეჰმატა ეკლესიას. დიდი მოღვაწე მშობლიურ მონასტერში მიიცვალა, როგორც ფიქრობენ, 753 წელს.

ამავე პერიოდში საეკლესიო საგალობელთა შეთხზვით თავი გამოიჩინეს იოვანეს თანაშეზრდილმა და მეგობარმა კოზმამ, გერმანე კონსტანტინეპოლელმა, თეოდორე სტუდიელმა და მისმა ზოგიერთმა მოწაფემ, იოსებ მგალობელმა, თეოფანე მოხატულმა, იოსებ თესალონიკელმა, მონაზონმა კასიამ (კასიანა) და მრავალმა სხვამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ისინი ხატთმბრძოლობის ერესის ბატონობის დროს, წამებისა და სიკვდილით დასჯის პირობებში მოღვაწეობდნენ. ამ პერიოდში დაწერა, აგრეთვე, პატრიარქმა ნიკიფორემ ისტორია მავრიკიოსის სიკვდილიდან 769 წლამდე.

ჰიმნები

სადიდებელნი (საგოდებერლი) მიცვალებულსა ზედა. „რომელი დიდებაჲ ჰგიეს ქუეყანასა ზედა შეუცვალებელად?“ – სვამს კითხვას კანონის დასაწყისში ავტორი და მართლაც, ამქვეყნიურ დიდებათაგან რომელია უცვლელი და მარადიული? ამ კითხვის პასუხი ერთმნიშვნელოვანია: რა თქმა უნდა, – არცერთი. ნებისმიერი ამქვეყნიური დიდება, სიმდიდრით იქნება იგი მოპოვებული, ძალაუფლების მოხვეჭით, თუ რომელიმე სხვა გზით, ცვალებადი და მსწრაფლწარმავალია, ისევე როგორც თავად ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრებაა ცვალებადი და ხანმოკლე. როგორც პოეტი წერს, ყოველგვარი მიწიერი დიდება „აჩრდილისა უუძლურეს და სიზმრისა უმაცთურეს არს“, რადგან სიკვდილი მათ ერთ წამში აცამტვერებს და ისე უკვალოდ „უჩინო-ჰყოფს“, თითქოს არც არასოდეს ყოფილან.

ადამიანი ხორციელ და სულიერ ბუნებათა ნაერთს წარმოადგენს. „დასაბამ და არსება ჩემდა იქმნა, დამბადებელო, ბრძანებაჲ შენი, რამეთუ ინებე რაჲ ხილულისა და უხილავისა ბუნებისაგან ცხოვლად შემტკიცება ჩემი, მიწით კორცნი ჩემნი დაჰბადენ, ხოლო სული მომეც მე საღმრთოჲთა და ცხოველსმყოფელითა შთაბერვითა შენითა“[1] – მიმართავს წმ. იოვანე ყოვლადწმიდა სამებას. მაშასადამე, თავისი ცხოველსმყოფელი სულის შთაბერვით ღმერთმა სამოთხეში ყოველთა დაბადებულთა ზედა მთავრად დადგენილ ადამიანს უკვდავება მიანიჭა, ხოლო სიკვდილი მან საკუთარი

[1] იქვე, გვ. 205.

ნებით დაიტეხა თავს, როცა შურით აღძრული ეშმაკის მიერ ცდუნებულმა შემოქმედს ურჩობა გაუწია და აკრძალული ხის ნაყოფი იგემა. ამიტომაც დაისაჯა იმ მიწადვე მიქცევით, რომლისაგანაც დაიბადა; მაგრამ სიკვდილი და ხრწნა მხოლოდ მის ხილულ, მატერიალურ ბუნებას შეეხო, ხოლო ღმრთისაგან მონაბერი უხილავი სული უკვდავი დარჩა. ამიტომ თუ სხეული, როგორც კი სული გაეყრება, მყისვე კვდება და გახრწნას იწყებს, უკვდავი სული ან ტანჯვით, ან ნეტარებით აღსავსე სიცოცხლეს აგრძელებს, იმისდამიხედვით, ამქვეყნიური ცხოვრება რას მოახმარა – წარმავალ დიდებათა, თუ სათნოებათა მოხვეჭას, რომლითაც სამარადისოდ შეიმოსა.

სხეულს გაყრილი უმწეოდ დარჩენილი სულის შემწე აღარც ანგელოზებია და აღარც ახლობელი ადამიანები; უპასუხოდ რჩება ანგელოზებისაკენ მიპყრობილი მზერა სულისა და კაცთა მიმართ შემწეობის სათხოვნელად აღპყრობილი ხელები:

„ჰოჲ მე, ვითარი ღუაწლი აქუს სულსა,

გან-რაჲ-ვიდოდის ჯორცთაგან!

ჰოჲ, ვითარ იგი მაშინ სცრემლოინ,

და არავინ არს მწყალობელ მისა.

ანგელოზთა მიმართ მიჰხედავნ და ურგებად ევედრებიან,

კაცთა მიმართ ხელთა განმარტენ

და არავინ არს შემწე მისი.[2]

ვეღარც სიმდიდრე შველის და ვეღარც დიდება, რომელიც აქ ჰქონდა, „რამეთუ მოიწია სიკუდილი და ესე ყოველი მყის იავარყო. ფუჭი და ამაო გამოდგა ყოველგვარი ამსოფლიური სიხარულიცა და სასოებაც, სიმრავლე მონათა თუ ოქრო-ვერცხლისა, რადგან სიკვდილთან ერთად:

„ყოველივე ესე იქმნა ავლ.

[2] იქვე, გვ. 204.

ყოველივე ესე იქმნა მტუერ.

ყოველივე ესე იქმნა სიზმარ და აჩრდილ“.[3]

სიკვდილი ყველას ათანასწორებს. სხეულის გახრწნის შედეგად გაშიშვლებული ძვლები არაფერს გვეუბნებიან იმაზე, ვის ეკუთვნოდა ისინი: მეფეს თუ მხედრს, მდიდარს თუ გლახაკს, მართალს თუ ცოდვილს.

თუმცა ადამიდან მოყოლებული კაცობრიობამ იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალი ხვედრია ყველა ადამიანისა, რომელიც ამ წუთისოფელში იშვა და იცხოვრა, მაინც მწარედ გოდებს და გლოვობს, როცა ღმრთის ხატად დაბადებულ მშვენიერებას საფლავსა შინა მდებარეს ხედავს:

„ვჰგოდებ და ვიგლოვ მე, რაჟამს გულისმა-ვჰყო სიკუდილი, და ვიხილო საფლავსა შინა მდებარე შუენიერებაჲ ჩუენი ხატად ღმრთისად დაბადებული, შეურაცხად, უპატიოდ და უსახურად“. მიუხედავად იმისა, რომ იცის სიკვდილი წილად „ჭეშმარიტად განჩინებითა, ღმრთისათა გვერგო“, ეს თავზარდამცემი სანახაობა პოეტში მაინც ბუნებრივად ბადებს კითხვას: „რაჲ არს ესე ჩუენი, ქუეყანისა ნაშობნო, საიდუმლო, ვითარ მივეცენით ხრწნილებასა, ვითარ შევეყუენით სიკუდილსა?“[4]

მაგრამ ვინც ეს სასჯელი გამოგვიტანა, მისგან მანვე გვიხსნა და მოგვცა გზა, რომლითაც ჩვენს სულებს „სოფელსა ცხოველთასა და საყოფელთა მართალსა განსუენება“ შეეძლება, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს არა მხოლოდ ჩვენი ნებაც უნდა იყოს, არამედ ამისთვის უნდა ვიღვაწოთ კიდეც, რაც ამ სოფლად ცხოვრებისას არა მიწიერ სიამეთა და დიდებათა გამოდევნებას, არამედ, როგორც ეს უკვე ზემოთაც ვახსენეთ, სულის სათნოებათა მიერ შემოსევისათვის გაწეულ გარჯას გულისხმობს.

„აღდგომის საგალობელის“ ლიტერატურული წყარო, რა თქმა უნდა, წმინდა ოთხთავია. ოთხივე მახარებლის დამოწმებით, ჯვარზე

---

[3] კერძო მსახურება (მცირე კურთხევანი), საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., სსგ, 1996, გვ. 204.
[4] იქვე, გვ. 205.

გარდაცვლილი მაცხოვარი საფლავად დადებიდან მესამე დღეს, კვირას მკვდრეთით აღდგა, კვირა დილით საფლავთან მისულმა მარიამ მაგდალინელსა და სხვა მარიამს უფლის ანგელოზმა ამცნო: ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა (მთ. 28,5-6), იმვეს იმეორებენ მარკოზ (16-6) და ლუკა (24,5-6) მახარებლები და იოვანე ღმრთისმეტყველიც (20,12-17). იოვანე დამასკელს პირდაპირ გადააქვს თავის საგალობელში ანგელოზთა სიტყვები, რომლითაც ისინი, ლუკა მახარებლის მიხედვით, მენელსაცხებლე დედებს ქრისტეს აღდგომას ახარებენ: „რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა? არა არს აქა, არამედ აღდგა“.

მთლიანად კანონი იმ გამოუთქმელი სიხარულის განცდით, რომელიც მთელს ხილულსა და უხილავ სამყაროს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომამ მოუტანა, თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ქრისტეს აღდგომა ხომ სიკვდილზე არა მხოლოდ მის, არამედ ზოგადად ადამიანის, ვისი ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან გამოხსნისათვისაც სიტყვა ღმერთი განკაცდა და ჯვარზე სიკვდილი იგემა, გამარჯვებასაც ნიშნავდა: ამიტომაც მოუწოდებს პოეტი ყველას, ვინც ეს სასწაული იწამა და მაცხოვარს შეუდგა, მესამე გალობის ირმოსში: „მოვედით შევსვათ სასუმელი ახალი, სასწაულებრივად გარდამოდენილი არა უნაყოფო კლდისაგან, არამედ უხრწნელი წყაროდან, ქრისტეს საფლავიდან გადმონადენი და მის მიერ განვმტკიცდეთ“.

აქ პოეტი ერთმანეთს ძველი და ახალი აღთქმის სასწაულებს უპირისპირებს. ძველი აღთქმის მიხედვით, ეგვიპტიდან გამოსულმა, უდაბნოში უწყლობით გატანჯულმა ერმა, წყურვილი ერთჯერადად მოიკლა წყლით, რომელიც მოსემ, ღმრთის კურთხევით, სასწაულებრივად უნაყოფო კლდიდან კვერთხის დარტყმით აღმოაცენა (გამოსვ. 17,6). მისგან განსხვავებით უხრწნელი წყაროდან, ქრისტეს საფლავიდან

გადმონაწვიმი კი, ის წყალია, რომლის შესახებაც მაცხოვარი სამარიელ ქალს ეუბნება, რომ ვინც მას შესვამს, არღარა სწყუროდეს უკუნისამდე, ...არამედ იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ (ინ. 4,14).

აღდგომის საგალობელი, განსხვავებით ანდრია კრეტელის კანონებიდან, არა ცხრა, არამედ რვა სიმღერისაგან შედგება; ამოღებულია მეორე გალობა, თუმცა გალობათა საერთო რიცხვი – ცხრა შენარჩუნებულია. ამგვარად, ე. წ. ოქტოიხოსის – რვა ხმის შექმნა ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში იოვანე დამასკელის სახელს უკავშირდება.

რაც შეეხება ჰიმნოგრაფიული კანონიდან მეორე გალობის – „მიიხილესას“ ამოღებას, ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, რამდენადაც ამ გალობას „მეორე სჯულისაჲ“ ედო საფუძვლად, რომელშიც გულარძნილი და უგუნური ერის ღმრთისაგან განდგომასა და შესაბამისად, შემოქმედის შურისძიებაზეა საუბარი, სევდიანი და წუხილით სავსე ხასიათი აქვს, ამდენად შეუფერებელი იყო იმ სულიერი სიხარულისა და საზეიმო განწყობილებისათვის, რომელიც მორწმუნეებს ქრისტიანული დღესასწაულების ჟამს ეუფლებოდათ. აქედან გამომდინარე, დღესასწაულებზე ცხრაოდიანი კანონები მეორე ოდის გარეშე სრულდებოდა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მომდევნო პერიოდის ავტორებმა – იოვანე დამასკელმა და კოზმა მაიუმელმა თავიანთი საგალობლებიდან იგი საერთოდ ამოიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება ყველა კანონთან მიმართებით ნამდვილად არ გამოდგება, რადგან დღესასწაულებზე შესასრულებელი ცხრაოდიანი კანონებიც გვაქვს და არსებობენ რვაოდიანი კანონებიც, რომელნიც არა სადღესასწაულო დღეებში, არამედ მარხვის ჟამს

სრულდებიან, მაგრამ იოვანე დამასკელის აღდგომის საგალობელს, მისი განსაკუთრებულად დიდი სადღესასწაულო განწყობილების გამო, იგი მართლაც ესადაგება.

რვავე გალობას საკუთარი ირმოსი ანუ ძლისპირი აქვს, ხოლო რაც რეფრენს (მინამღერს) შეეხება, იგი საერთოა ყველა ოდის ირმოსისა და ტროპარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს მინამღერი აღდგომის სადღესასწაულო დღეებში, კერძოდ, აღდგომიდან ვიდრე ამაღლებამდე, მართლმადიდებელ ეკლესიაში, დღემდე, როგორც დამოუკიდებელი საგალობელი, ისე იგალობება:

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი

და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“.

ქრისტეს აღდგომა მთელს სამყაროს – ზეცას, ქვეყანასა და ქვესკნელს სინათლით ავსებს, მის მკვდრეთით აღდგომას, ყოველი ქმნილება დღესასწაულობს და მისით მტკიცდება. პოეტი მორწმუნეებს მოუწოდებს უფალს ცისკარზე მენელსაცხებლე დედებისაგან განსხვავებით, ნაცვლად მირონისა, საგალობელი მიართვან და იხილონ ქრისტე, მზე სიმართლისა, ყოველთა ცხოვრების განმანათლებელი.

მეექვსე ოდაში ცალკეა გამოყოფილი ქრისტეს აღდგომის სადიდებელი, სათაურით სააღდგომო გალობა. პოეტი მოგვიწოდებს მხოლო უცოდველი ღმერთის – იესო ქრისტესა და ჯვრის თაყვანისცემისაკენ, რომლითაც შემოქმედმა თავისი ქმნილება არამხოლოდ ცოდვისა და სიკვდილის სამარცხვინო ტყვეობისაგან იხსნა, არამედ მასზე გამარჯვებაც უბოძა.

„აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ, თაყვანის-ვსცეთ წმიდასა ამას უფალსა დიდებისასა იესოს, მხოლოსა უცოდველსა ღმერთსა ჩვენსა და ესრეთ ხმა ვყოთ: ჯუარსა შენსა თაყვანის-ვსცემთ, ქრისტე მეუფეო და წმიდასა

აღდგომასა შენსა ვუგალობთ და ვადიდებთ, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი და ჩუენ შენსა გარეშე სხვაჲ ღმერთი არა ვიცით; მოვედით ყოველნი მორწმუნენი, თაყვანის-ვსცეთ ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა, აღდგომასა, რამეთუ აჰა ესერა მოიწია ჯუარისა მიერ და აღდგომისა სიხარული ყოვლისა სოფლისა, მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა და უგალობდეთ აღდგომასა მისსა, რამეთუ ჯუარცმა თავს-იდვა ჩუენთვის და სიკვდილითა სიკვდილი განაქარვა".[5]

მეცხრე გალობის ირმოსში კანონის ავტორი მიმართავს ახალ იერუსალიმს, რომელშიც განბრწყინდა დიდება უფლისა და ღმრთის-მშობელს – იშვებდეს მისი ძის აღდგომით:

„განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდებაჲ შენზედა გამობრწყინდა. განსცხებოდინ და იშუებდინ სიონ და შენცა იშუებდინ, ღმრთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა".

მართალია, იოვანე დამასკელის „აღდგომის კანონი" ღმრთისმსახურებაში ცალკე აღებული არ გამოიყენება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი ცალკეული გალობანი დღემდე უცვლელად გამოიყენებიან სადღესასწაულო ლიტურგიაში.

[5] ლოცვანი, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ. 2013, გვ. 24-25, აქვეა მოცემული როგორ ახარა ანგელოზმა დედა ღმრთისას.